ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1991754

ნომერი: AR1323571

თარიღი : 02.07.2015

გაცემის თარიღი : 08.07.2015

გაცნობის თარიღი : 08.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ფარსადანის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რაულ იაკობიძე პ/ნ 54001007073
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 38 ბ. 1ა

ორგანიზაცია:

- პარტნიორი2 კოდი: 405092224

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: წარმოდგენელი მასალის განხილვის დროს დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.72.14.034.683 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის არეალში. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0.7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=4.6;

- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0.1;

სსზ–2–ში განაშენიანების დომინირებული სახეობაა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, რეკომენდებულია არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის. სამსახურის რეკომენდაციით დასაშვებია საცხოვრებელი ფუნქციის არსებობა მაქსიმუმ 60%, ხოლო დანარჩენი მინიმუმ 40% უნდა დაიტვირთოს საზოგადოებრივი ფუნქციით.

საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საკითხის განსახილველად საჭიროა დამატებით წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტის ესკიზი, რომელიც უნდა იქნეს დამუშავებული საპროექტო ტერიტორიებზე დასმული განაშენიანების რეგულრების ხაზის დაცვით (იხ. დანართი). აღნიშნული დოკუმენტი უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის დამატებით ველში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.